№ 230. 4 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1866—1882 4 ნოემბერი, ხუთშაბათი. № 230.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., საშუალო ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილის ასოების სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერებს შეითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

## ორის თვის ხელის-მოწერა.

პირველის ნოემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება“

ღირს გაგზავნით 2 (ორი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Дроэба“.**

# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბერლინი, 2 ნოემბერს. იმპერატორმა ვილჰელმმა გახსნა გერმანიის პარლამენტი—ლანდტაგი და ამ დროს წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში კერძოდ განსაკუთრებით მოიწონა ის კანონები, სადაც მოხსენებული იყო მთავრობის განზრახვა, რომ მცირე მემამულეებს ბაჟი არ გადახდებათო და ურთეგე, რომ გერმანიას ამ ჟამად ყველა სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება აქვსო, რომლის წყალობითაც მშვიდობიანობა არ იქნება ევროპაში დარღვეულიო.

პეტერბურღის ბირჟა, 2 ნოემბერს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 | 12 |
| მეორესი — — — — | 91 | „ |
| მესამესი — — — — | 90 | 50½ |
| მეოთხესი — — — | 90 | 50 |
| მეხუთესი — — — | 90 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 88 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 23½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 212 | 25 |
| მეორე სესხის — — | 204 | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 | 3 | პენსი |
| გამბურღი — | 204 | 12 | ცენტი |
| პარიჟი — — | 252 | 25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ | „ | პფენიგი |

## ღვინისათვის კამპანია

ტფილისი, 3 ნოემბერს.

მოკლედ იყო ამას წინად ჩვენს გაზეთში მოყვანილი ერთი ჩვენთვის ფრიად საყურადღებო ამბავი,—რომ არსდება აქციონური კამპანია, ორ მილიონ ნახევარ მანეთით თანხით, რომელსაც (საზოგადოებას) განზრახვა აქვსო, რომ ჩვენებური ღვინოები იყიდოს, კარგად დააყენოს, გააკეთოს და მერე ჰყიდოს.

წესდების შემდგენელი ამ აქციონურ კამპანიისა ბ-ნი მეცნერი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში, მოახსენა თავის განზრახვა სამეურნეო საზოგადოებას, აქა იქ დადის ჩვენს მემამულეებთან და დიდის ამბით ქადაგებს თავის განზრახვის დიდს მნიშვნელობაზე და სარგებლობაზე საქართველოს ღვინის წარმოებისათვის. დიდი გასავალი მოელის კავკასიის ღვინოებსაო, ისე უნდა მოვახერხოთო, რომ სამზღვარ გარეთიდამ კი არ მოგვდიოდეს ჩვენი ღვინოები და ამისთვის რუსეთი ათ მილიონზე მეტს მანეთს კი არ ხარჯავდეს წელიწადში, ჩვენვე გავიტანოთ ჩვენი ღვინოები სამზღვარ გარეთ და რუსეთშიაც ყირიმისა და კავკასიის ღვინოები უნდა მოვეფინოთო. უნდა გავაკეთოთო კავკასიის ღვინოები, უნდა გავავრცელოთ ღვინის წარმოება, რაც ახლა დიდი მოდის საქართველოში, შეიძლება, ორი იმდენი მოვიყვანოთ და ფულითა და ცოდნით ყველა ამას შევიძლებთო.

ერთის სიტყვით, ბ-ნი მეცნერი ღვინით გაკეთებას გვპირდება, ოქროს მთებს გვიხატავს თვალ-წინ.

ვინ ამბობს, მართლა რომ, როგორც სხვა ყოველგვარ ჩვენებურ წარმოებას, ისე ღვინის წარმოებასაც ბევრი დაბრკოლება და სუსტი მხარეები აქვს: არც მოვლა ვიცით, როგორც წესია ვენახისა, ვერც ღვინოებს ვაყენებთ რიგიანად, ვერც ვასაღებთ ღირსეულ ფასად, სირაჯებისაგან სული ხდებათ ჩვენს მემამულეებს და სხვ.

შეიძლება ყველა ეს დაბრკოლება, ცოტათი თუ ბევრად, აიცილოს თავიდამ იმ აქციონურმა კამპანიამ, რომლის დაარსებასაც აპირებენ. მაგრამ ჩვენ გვაშინებს იგივე მოსაზრება, რომელიც ბარონ ნიკოლაიმ და ზოგიერთ სხვებმა გამოსთქვეს ამ კამპანიის შესახებ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელს კრებაზედ:

ვაი თუ ამ ფულით ზურგ გამაგრებულმა და მოხერხებულ კაცებისაგან შემდგარ კამპანიამ ისე მოაგვაროს საქმე, რომ ნამდვილი მეპატრონეები ვენახებისა და ღვინოებისა რიყეზე დააგდონ და მთელი ამ საქმით მარტო თითონ ისარგებლონ?

და ეს რომ ადვილი მოსალოდნელი, ეს რომ საფუძვლიანი შიში და მოსაზრებაა—ამაში ეჭვი არ არის:

ჯერ ერთი ეს: ვინ იქნებიან ამ აქციონურ კამპანიის შემადგენელნი? ვისი ფულით აწარმოებენ ამ საქმეს? რაღა თქმა უნდა მომეტებული ნაწი-

«დროების» ფელეტონი, 4 ნოემბერ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

დილის ათი თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ყველაფერი გათავდა, დახოცილები წაიღეს დასამარხათ, სისხლი მიწით მოამშრალეს და ამ სისხლის ღვრის ნიშნად მარტო გამწვარი სახლის ბოძები იდგა, რომელიც ადგილ-ადგილ დარჩენილიყო, შეტრუსვილიყო. ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, შესდგებოდა, ოხვრით მოიგონებდა ვაჟკაცთ ვაჟკაცურს სკვდილს და მერე გართული ისევ თვიანთის საქმით ივიწყებდა შესაძრწუნებელს მოგონებას.

ნაჩალნიკი ის იყო შინ მიდა, საცა ხევის დიანბეგიც მიიწვია, როდესაც იმასთან შევარდა პოლციელი და მოახსენა:

—თქვენო მაღალო კეთილშობილებავ! კაცი მოკლეს.

— სადა?

— მოხევეების უბანში.

— მგლა გვაკლდა ამოდენ ქრომის შემდეგ! უსიამოვნოდ წარმოსთქვა იმან და დაუმატა:—ვინ კაცი

— იქ ერთი მოხუცებული გლახაკი გახლდათ.

— გლახაკი, ვის მოუკლავს, ეჭვი არაფიზედა გაქვს?

— როგორ არა... ეს ორი დღეა რაც იმის ქალი ჩამოვიდა. ამბობენ ცუდი ყოფა-ქცევისა გახლდათო... ის იყო თავის მამასთან, ერთს ოთახში ეძინათ და დღეს დილით მოხუცი თავის საპლში თავ შუაზედ გაჩეხილი ვიპოვეთ.

— უეჭველია, თითონ ქალს მოუკლავს. გადაწყვიტა ნაჩალნიკმა.

— თუ თითონ არა, ეტყობინება მაინც ვინ მოკლა?

— ოსები არიან?

— არა, მოხევეები.

— მოხევეები? გაკვირვებით იკითხა დიანბეგმა.

— დიახ. მისცეს პასუხი.

— სახელად რა ჰქვიან ქალს?

— ნუნუ.

— ნუნუ? გაკვირვებით იკითხა დიანბეგმა და მაშინვე დაუძახა გირგოლას, რომელიც ის იყო იქ მოვიდა.

— ვინ ნუნუა, თავის მამა რომ მოუკლავს? წადი შეიტყვე.

— მე კიდეც გავიგე. ჩემი რძალი გახლავს. დაღონებით უპასუხა იმან.

— თითქო შენი რძალი წყალში დაიხრჩო?

— მეც აგრე მეგონა, მაგრამ აქ თურმე ყოფილა.

— შენ სადღა იყავ აქამდინ?

— დახოცილებს უყურებდი.

ამ დღიდგან დაიწყო გამოძიება, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ნუნუ გარყვნილი და ცუდი ყოფა-ქცევისა, მოვიდა თავის მამასთან, რომელსაც გლახაკობით დიდი ფული ჰქონდა მოგროვილი, მოკლა მამა და ფული თავის საყვარელს მიაბარა, რადგანაც აქამდინ არ ამბობს, თუ რა უყო ეს ფული. თუმცა თითონ ნუნუ ამბობდა: „წარსულს ღამეს მე და მამა ჩემი გათენებამდისინ ვისხედით. ბოლოს ძილმა თავი მოგვერია და როდესაც მეორე დღეს გამეღვიძა მზეს კარგად მოევლო, გლეხების სადილობა იქნებოდა. ოთახში ბნელოდა და მე მეგონა მამას კიდევა სძინავს და რომ არ გამეღვიძებინა, წყნარად გაველი კარებზედ, დავიბანე პირი და იქ დავჯექ რაოდენიმე ხანს, მაგრამ რაკი მამა არ იღვიძებდა, შეველ სანახავად. როდესაც ახლოს მიველ ფეხებთან ტალახი ვიგრძენ. მე რამდენჯერმე დაუძახე მამას, მაგრამ ხმა არ გამცა და ხელით მინდოდა გამეღვიძებინა; რა ხელი მივაკარე, ვიგრძენ რომ სველი იყო, დავიხედე ხელზედ და სისხლში მქონდა გასვრილი! შეშინებულმა ჩამოვგლიჯე ფანჯრიდგან ქილობი და ვაგლახად დავრწმუნდი, რომ მამა ჩემი ვიღასაც მოეკლა“.

ასე ამბობდა, ასე ლაპარაკობდა საბრალო ქალი, მაგრამ ვინ დაუჯერებდა იმას, სად, ან ვინ იყო მოწამე?... „ეჭვი არ არის, რომ ნუნუ მამის-მკვლელია!“ იძახდა ნაჩალნიკი, გამომძიებელი, ხალხი და მსაჯულნი....

ერთს დღეს ვლადიკავკაზის ქვევით ბაზარში, აეშენებინათ რაღაცა ფიცრის ესტრადა და ზედ აემართად დაჭრელებული ბოძი, რომელზედაც მსხვილის ასოებით ეწერა: „სამარცხვინო ბოძი“. ხალხი გროვდებოდა აქ და ხმა მაღლა ჩათვლით კითხულობდა ამ სიტყვებს: „რა არის ეს ბოძი, რა იქნება აქ?“ წამდაუწუმ მოისმოდა ხალხში, რომელსაც თან-და-თან ემატებოდა ახლად მოსულნი და რაღაცა მღელვარებაში შედიოდნენ.

*) იხ. „დროება“, № 228.

ლი ისეთი პირები, რომელთაც ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის სრულიად არ შესტკივათ გული; პირდაპირი განზრახვა აქციონურ საზოგადოებისა, რასაკვირველია, ის იქნება, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული სარგებლობა გამოსწოვოს, საკუთრად თავის ჯიბისათვის, ჩვენის მამულებისა და მემამულებისაგან. იმ დიდი ფულის წყალობით, რომელიც ხელთ ექნება, კამპანიას შეუძლია საუკეთესო ვენახები და სავენახო ადგილები ჩაიგდოს ხელში (გაყიდვის მსურველნი, საუბედუროდ, ბევრი გამოჩნდება ჩვენს თავად-აზნაურობაში) და თვითონვე აწარმოვოს ღვინის საქმე, მარტო თავისთვის იზრუნოს და არა ქვეყნის სარგებლობისათვის.

ამ ნაირად კამპანიას, თავის ფულისა და მოხერხების წყალობით, შეუძლიან ნამდვილი მონოპოლისტი გახდეს ჩვენში ღვინის ვაჭრობის საქმეში; შეუძლია ისე მოათავსოს საქმეს, რომ ჩვენებურ მემამულეს იმის იქით გზა აღარ ჰქონდეს, თუ არ ამ კამპანიაზე, სხვაზე ვერავისზე გაასაღოს თავის ღვინო.

ცხადია, რაც იქნება ამის შედეგი: შეიძლება ჩვენებური ღვინო გააუმჯობესოს კამპანიამ, შეიძლება ღვინის წარმოება ერთი-ორად გახადონ, შეიძლება მთელს ქვეყანას მოჰფინოს კავკასიის ღვინო,—მაგრამ ამასთანავე ისიც ძალიან ადვილად შეიძლება, რომ ყველა ამით მარტო იმ კამპანიამ ისარგებლოს და ჩვენ კი, ნამდვილი პატრონები ვენახისა და ღვინისა—რიყეზე დავრჩეთ.

ერთი და ათასი არ ყოფილა ვაჭრობაში ამისთანა მაგალითი.

აი ამის გვეშინიან ჩვენ...

## დღიური

ბავლილ ორშაბათისათვის დანიშნული ჩვეულებრივი კრება ქალაქის რჩევისა ვერ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი არ მოვიდა ხმოსნებისა.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ორი ძმა ტერ-ნიკოლოსოვები, რომელთაც, მალაზიის ცეცხლის წაკიდებისათვის, აქაურმა სასამართლოებმა ციმბირში გაგზავნა გარდაუწყვიტა, და რომელნიც თავდებობით იყვნენ გაშვებულნი, ამ დღეებში გაქცეულან, როდესაც შეეტყოთ, რომ ტფ. სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება სენატმა დაამტკიცა და იმათ დაჭერას უპირებდნენ.

* * *

გაზ. „კავკაზში" დაბეჭდილია ვლადიკავკავიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ აქაურ საქალაქო ბანკის დირექტორი ზუევიჩი და ხაზინადარი (კასსირი) სიმონოვი, ბანკის ფულების შეჭმისათვის, დაატუსაღესო.

ამ უკანასკნელ დროს, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ფოჩტა და ტელეგლამმა ისე არ მოვა რუსეთიდამ, რომ, ორი და სამი თუ არა, ერთი ამბავი მაინც არ მოგვიტანოს ან რომელიმე ბანკის, ან ხაზინის, ან სახელმწიფო და საზოგადო ფულების შეჭმისა. ახლა ამ გვარი ამბავი ვლადიკავკავიდამ მოგვდის,—ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ გაცარცვ-გაქურდვისა და ფულების შეჭმის სენს კავკასიის მთებზე გადმოებიჯოს და ჩვენც გვწვეოდეს...

* * *

ამბობენ, ჩვენს უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ ბოტანიკ-ს, ალექსანდროვის და მუშტაიდის ბაღები ქალაქის გამგეობაში გარდასცესო. იმაზე—თუ რა პირობით და როგორ მიიღებს ამ ბაღებს ქალაქი—ამ მოკლე ხანში ექნება სჯა ქალაქის რჩევას.

## „საქართველოს სამოთხე"

ამ სახელით ჩვენ მივიღეთ ბ. გ. საბინინისგან გამოცემული წიგნი „ინ—კვარტო"-თ, 639 ფურცელით და ოცდა ხუთის ჩინებულად ნახატის ჩვენი წმინდანების და წამებულების სურათებით.

როგორც წიგნი, ისე სურათები ისე წმინდად და ლაზათიანად არიან შემუშავებულნი, რომ გული ხარობს ამ სახალხო განძის შეძენით. მართლადაც, ამ გვარი გამოცემა არამცთუ ჩვენი ლიტერატურის სიმდიდრეს შეადგენს არამედ სხვა ქვეყნების ხალხისთვისაც—კი, რომელნიც ჩვენზე ბევრით მდიდარნი არიან ამ გვარის გამოცემებით,—თავ მოსაწონი იქნებოდა.

თითონ წიგნი თუ რამდენად კეთილ სინდისიანად და რა [illegible] ნაკლულოვნებით არის დაბეჭდილი, ამის შესახებ ეხლა ვერას ვიტყვით, რადგანაც იმის გადაკითხვას და შეთანხმებას ისტორიულს ფაქტებთან კარგა ხანი მოუნდება და თავის დროზედ-კი „დროების" მკითხველებს ამაზედაც მოველაპარაკებით.

ამასთანავე არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ: რა ნაკლულოვანებითაც სავსე უნდა იყოს ეს წიგნი შინაარსით, მაინც უმნიშვნელოდ არ დარჩება ჩვენთვის ისეთი წიგნი, რომელშიაც ჩვენს წამებულთ ცხოვრებაც ისე გადაბმული და გადაკვანძულია ჩვენს წარსულს ცხოვრებასთან, ჩვენს სახელთან და ჩვენი ეროვნობის გულის ცემასთან.

ეს წიგნი იმ ხალხის სურათებს და აღწერას შეიცავს, რომელნიც თავიანთის სიტყვით ამხნევებდნენ საქართველოს, და მაგალითით—ერთს მუჭა ხალხს უძლეველად, შეუდრკეველად და დასავლეთის განათლების მოწინავე მებრძოლად და დამცველად ხდიდა.

აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რამდენად ღირს-შესანიშნი არის ყველა ქართველისთვის თვით მოკლე სიტყვაც ამ სახალხო გმირთ ცხოვრობაზედ, არამც თუ ისეთი ღვაწლი, როგორც ბ. საბინინს თავის შრომისათვის მიუღია.

„საქართველოს სამოთხეში" არის მოყვანილი, ხელოვნურად აღსრულებული, შემდეგი სურათები:

1) წმიდისა მოწამის ნინოსი საქართველოს განმანათლებელის.

2) გამოცხადება ღვთის მშობლისა ნინოს წინაშე და ჯვარის გადაცემა;

3) წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა, რომელიც იყო წამებული სპარსთაგან ქართლში, სოფელს წრომს;

4) წმიდისა მოწამისა შუშანიკისა;

5) იოაე ზედაძნელისა;

---

ბევრმა არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო აქ, მაგრამ მაინც მოელოდა ბოლოს, როდესაც ხალხი შეინძრა, მოისმა ბარაბანის ხმა და დაიძახეს: „მოჰყავსთ, მოჰყავსთ!"

ყველა იქით მიბრუნდა, საიდგანაც ბარაბანის ხმა მოისმოდა და მაყურებელთ თვალ-წინ წარმოუდგათ რაღაცა უცნაურად გაკეთებული მაღალი პოვოსკა, რომლის ზეითაც ვიღაცა დედაკაცი უკუღმა იჯდა; ტუსაღის ტანისამოსით, ჯვარედინად გადავლებული ჰქონდა ღვედები, რომელთაც გულზედ ეჭირათ ფიცარი ზედ წარწერით: „მამის-მკვლელი"!..

თითონ ტუსაღს იქამდინ ჩამოვარდნოდა გულზედ თავი და თავსაბურავი წამოჰფაროდა თვალებზედ, რომ სახე არ უჩანდა. ჯალათი პირუტყულის და მოღიმარის სახით, გვერდს უჯდა და ეოხუჯებოდა ქალს. ბოლოს იმან მკაცრად გადასწია ხელცახოცი, გადაუღო უკან თავი და ხალხმა დაინახა ფერ-წასული, გონებამიხდილი ქალი, რომლისთვისაც მწუხარებას და სატანჯველს შესაზარად დაემახინჯებინა სახე. აშკარადა სჩანდა, ძალზედ მიიკრა ჯვარი ტუჩებზედ, გაიშვა, დაიხრიალა და მოეშვა ისევ. ხელები ჩქარად ჩამოუქანდნენ და, ღვდელმა მიაშველა ხელი, რათა ჯვარი ძირს არ დაცემულიყო. ის დაჰქერდა საცოდავს წამებულს და მრთოლარე ხმით წარმოსთქვა—განუსვენე უფალო მხევალსა ამას შენსა!.. გადიწერა პირჯვარი და მოშორდა.

როდესაც ჯალათი მივიდა, გახსნა შეკრულობა, ნუნუ მუხლებ მოჭრილსავით დაეცა ძირს... მეტს მწუხარებას და სირცხვილს ველარ გაუძლო იმისმა გულმა და უკანასკნელმა მღელვარებამ ბოლო მოუღო!..

მაშ ვინ იყო ბლახას მომკვლელი?.. მსჯულნი დარწმუნებულნი იყვნენ რომ ქალი და ხალხში-კი ეჭვი შევიდა...

მეორე მესამე დღეს, ამ შემთხვევის შემდეგ, ფუთხუზის ტყესთან გამალებული ტროიკა მოდიოდა, რომელსაც მიხყვანდა ხევის დიანბეგი და ბირგოლა. ისინი ლაპარაკობდნენ წარსულს შემთხვევაზედ, მაგრამ ბირგოლა, რომელიც გაფითრებულიყო თავს, არიდებდა და უგუნებოთ უპასუხებდა. ის დაესწრო ნუნუს სიკვდილს და კაცობრიულმა გრძნობამ გაუარა გულში. ამ დღიდგან ის მოსვენებას ველარ პოულობდა და ყველგან ნუნუს სახე ეჩვენებოდა. ამ რამდენიმე დღეში ის ისე ჩამომდნარიყო, ისე შეწუხებულიყო, რომ ადამიანი ველარ იცნობდა.

— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? ჰკითხა დიანბეგმა.

— ჰო, შეუძლოდ გახლავარ რასმე.

— ნუ გეშინიან, აი მივალთ შინა და მალე მტერი მომიკვდეს მალე იუნკრობა მოგიტანინო.

— შენი წყალობა მომცეს ღმერთმა. რაღაცა უგუნებოთ უპასუხა იმან.

ისინი გვერდი გვერდს ისხდნენ, რადგანაც წინ სხვა ყაზახი უჯდათ, ბირგოლამ ვერ გაათავა უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ტყიდგან გამოვარდა თოფი, გახვრიტა დიანბეგი, რომელიც გადმოვარდა ტროიკიდგან და გვერდში დაჰკრა ბირგოლა რომელმაც გაიგონა ხმა:

— მე ვარ კობა! ორნივ მე განაცვალეთ იაგოს!

ამ სიტყვებით ის გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყო; მკვდარი დიანბეგი და სასიკვდილოთ დაჭრილი ბირგოლა-კი წაიღეს შინ ცოცხალ მკვდარი მიიტანეს სტეფანწმინდაში, სადაც დააწვინეს. პირველი იმისი სიტყვები იყო ღვდლის მოკითხვა, რომელიც იმ წამს მოვიდა.

ყველანი გამოვიდნენ, მარტონი დარჩნენ მოძღვარი და მოწაფე.

ბირგოლა წარმოუთქმელს აღშფოთებაში იყო, როდესაც მოძღვარი მიუახლოვდა, ამოიღო ზიარება და იმის შიშით, რომ უზიარებელი არ მომკვდარიყო, უნდოდა მაშინვე მიეღებინა წმიდა საიდუმლო.

— ღირსი არა ვარ, მამაო!

— შენს მდგომარეობაში ყველა და, რომ ის ველარასა ჰგრძნობდა, რადგანაც რა ჯალათმა ხელი მოაშორა თავს, ის ისევ ყინწ-მოწყვეტილსავით გულზედ ჩამოუვარდა.

პოვოსკა გაჩერდა ესტრადას წინ და ქალი ჩამოათრიეს, რადგანაც სიარულის თავი აღარა ჰქონდა, აიყვანეს ესტრადაზედ და ისე მიაკრეს ბოძს, რომ ზედ მდგომს ემგზავსებოდა.

— ქუდები! დაიძახა ერთმა და ყველამ მოიხადა ქუდები. სამხედრო წოდების ხალხი გამოიჭიმა და მარჯვენა ხელი მიიტანა ქუდებთან. ნაკერ მუნდირში გამოვიდა ვიღაცა კაცი და დაიწყო გადაწყვეტილების კითხვა, რომელიც ხალხს აუწყებდა, რომ „ნუნუ მამის-კვლისთვის საუკუნოდ იგზავნება ციმბირში, მადნებზედ სამუშაოდ"..

ხალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენას ვაიგონებდით. გაყუჩდა ყველაფერი, თითონ ნიავიც-კი შესწყდა, თითქოს თავის ხმაურობით ეშინოდა დაეშალა ხალხის სმენისთვის ყურთას გული წარმოუთქმელათა სგრძნობა და რაღაცა შემაწუხებელს მდგომარეობაში იყო. ამ საერთო სიჩუმეში გამოვიდა მოხუცი

6) წმიდისა მოწამისა იესე წილ-ქნელი ეპისკოპოზისა (ერთი თორმეტ ასურელთ მამათაგანი).;

7) წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბი-ბოს ნეკრესელისა ეპისკოპოზისა. (წა-მებული ცეცხლის მსახურთ მიერ ქარ-თლში.);

8) წმიდისა მოწამისა იოსებ-აბა-ლავერდელის (ერთი 12 ასურელთ მამათაგანი);

9) წმიდისა მოწამისა შიო მღვი-მელისა;

10) გამოცხადება ღვთისმშობლის მიერ წმიდა შიოს წინაშე.

11) წმიდისა მამისა დავით გარე-ჯელისა;

12) წმიდისა მამისა ანტონ მარ-ტყოფელისა.

13) წმიდისა ნეფიდე ურბნისის ეპისკოპოზისა;

14) წმიდისა მოწამისა ევსტათი მცხეთელისა;

15) წმიდათა მამათა წამებულთა დავით და კოსტანტინესი;

16) წმიდათა წამებულთა, საქარ-თველოს მეფეთა ლუარსაბისა და არ-ჩილისა;

17) წმიდისა წამებულისა აბოსი ტფილელისა;

18) წმიდისა მოწამისა კონსტან-ტინე ქართლელისა, რომელიც იქნა წამებული ბაბილონთა მეფისა ჯა-ფარის მიერ.;

19) წმიდისა მამისა ილარიონისა;

20) წმიდისა წამებულისა მოწამი-სა გობრონისა;

21) წმიდათა იოანესი, ექვთიმესი და გაბრიელისა;

22) წმიდისა მამისა გიორგი მთაწ-მინდელისა;

23) წმიდისა მეფისა დავით-აღმა-შენებელისა;

24) წმიდისა წამებულისა ქეთევან კახთ დედოფლისა და

25) წმიდათა წამებულთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა, ელიზბარისა და შალვა ქსნის ერის-თავებისა.

ამ წიგნთან ერთად ჩვენ მოგვივი-და ბ. ჩუბინოვის წერილის პირი ამ წიგნის შესახებ, რომელსაც შემდეგი-სათვის გადავდებთ.

## „შრომის" პასუხად.

მე თუ გინდა თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერალი
გინც არ არის კასაბერი, მე მერ ვიტყვი ქასაბერად.
დ. გურამიშვილი.

თუმცა, მართალია, ზოგჯერ თქმას უთქმელობა ჰჯობს და გაჩუმება სა-უკეთესო პასუხია, მაგრამ მაინც სა-ჭიროდ ვსთვლი ორიოდე სიტყვა კი-დევ ვუძღვნა „შრომას".

სრული იმედი მაქვს, რომ ყველა, ვისიც ძმობა და მეგობრობა სასიქა-დულოდ მიმაჩნდა და მიმაჩნია, ღირ-სეულად დააფასებს „შრომის" ზნე-საქციელს და მის მოსაზრებას, ვი-თომც მე ვეძებდი მხოლოდ მიზეზს მასთან საერთო შრომაში კავშირის გასაწყვეტად... განა ჩვენი რწმუნების დაუფარველი წარმოთქმა, გულ-წრფე-ლი და საფუძვლიანი—თუმც, მერწ-მუნეთ, ჩემთვისაც უსიამოვნო—გა-კიცხვა ვერ ეწყობა „ძმურად—ტკბი-ლად" ყოფას და სარჩულად უთუოდ უნდა ჰქონდეს რამე არა საქებური მიზეზი?... საიდამ გამოიყვანეთ, ვინ გითხრათ, რომ მე თქვენთან ლი-ტერატურული კავშირის გაწყვეტა მსურვებოდე და იმიტომ ვსთქვი ის, რის თქმასაც საჭიროდ ვსთვლიდი?..

„შრომა" ისევ ერთი სიტყვითაც არ შეეხო საგანს, რა მცირედზედ უმ-ცირესიც უნდა იყოს ეგ საგანი, და ააგდო სიტყვა განზედ! „შრომა" ისევ არ ამბობს მართალს და ერიდება სი-მართლეს, როცა სწერს: უმ—ძემ „ჰაზრი გადაასხვაფერაო", ისევ კადრუ-ლობს მისდა არა შესაფერს, როცა ნებას იძლევა, ვბეჭდო „დროებაში" „ლიტერატურული ნაცოხარი" და თითქო განგებ სურს მთელის თავის პასუხით ერთხელ კიდევ დაამტკიცოს დიდებულის შოთას ნათქვამი:

„კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდება"!

გრ. უმწიფარიძე.

## ხონის საოსტატო სემინარიის შე-სახებ.

ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნე-ბოდა, რომ ჩემგან თქვენს პატივცე-მულს გაზეთში დაბეჭდილი კორრეს-პონდენცია, ჩვენის საოსტატო სემი-ნარიის შესახებ, არ გამართლებულიყო; ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, რომ სემინარიის რჩევას დაემტკიცე-ბია ჩემთვის, რომ მის მოქმედების სჯაში მე შემცდარ ვარ. მაგრამ, სამ-წუხაროდ, თავის პასუხით სემინარიის რჩევამ თუ არ დაამტკიცა რაიცა ჩემ-გან გამოთქმული იყო კორრესპონ-დენციაში, დარღვევით მაინც არა და-ურღვევია-რა.

რაც შეეხება ჩემგან გამოთქმულ აზრს, რომ დასაწყისს სასწავლებელში მიღება გარდასწყვიტეს არჩევანით, მაგ-რამ 16 ადგილზე, მხოლოდ 13 მიი-ღეს არჩევანით—და დანარჩენი სამი კი აქაური მდიდრების შვილებს არ-გეს-მეთქი, ამაზედ უარს არც რჩევა ამბობს (იხ. „დროება" № 112). მა-შასადამე ფაქტი ფაქტათ დარჩა. ახლა სემინარიის მთავრობამ და მკითხვე-ლებმა განსაჯონ, თუ რამდენათ რი-გიანათ მოქცეულა რჩევა ამ საქმეში და რამდენად საკმარი იყო ლიტონი სიტყვა ბ. ივანე შარაშიძისა, რომ იმ სამი ყმაწვილის მამებმა უმეტესი ღვაწ-ლი დასდვეს სემინარიის დაფუძნების საქმეში, მით უმეტეს, რომ ბ. შარა-შიძე ვერ ითხოვდა იმ საქმეს, რო-გორც დეპუტატი, არამედ როგორც კერძო პირი.

მამასახლისის შვილის სემინარიაში მიღების საქმეზედ ბევრი წილა-დობი-ლი, ვგონებ, საჭირო არ იყოს. სემი-ნარიაში ეგზამენები გათავდა; ვინც რიგიანად ეგზამენი დაიჭირეს და ად-გილი ერგოთ, მიიღეს. ნებასა ვსთხოვ სემინარიის რჩევას (თუ კი იმას ამაზე რაიმე სჯა ჰქონია), მიპასუხოს, რაღათ ილებდა რჩევის შემდეგ მამასახლისის შვილის თხოვნას? თუ ვაკანსიები შევსი-ლი არ ყოფილან ჯერ? დამარწმუნოს სემინარიის მთავრობამ, რომ ვინც კი წრეულს იქ რიგიანად ეგზამენი დაი-ჭირა, ყველა მიღებულია და არავინ არ დაუტოვებიათ უადგილობის გა-მო. მე მგონია, სემინარიაშიაც უნდა მოიპოვებოდეს ამ კითხვაზე ცნობა. ეგზამენის დამჭირავთ რიცხვზე, მათ მიღებაზე და მიუღებლობაზე იქ, უე-ჭველია, საქმეები უნდა იყოს. და თუ ვისმეს რიგიანად დაუჭირავს წრეულს

---

ელო, თეთრის წვერით მღვდელი, შემოსილი შავის სამოსელით; იმას ხელში ეჭირა ჯვარცმა და დაღვრე-მილის, ფერ-მიხდილი და შეწუხებუ-ლის სახით მივიდა უზედურთან. ყვე-ლანი მოშორდნენ.

— ნინო! ჩასძახა მღვდელმა.—ნი-ნო! გაიმეორა იმან და მოჰკიდა ხე-ლი.

მალი შეკრთა, გაახილა თვალები, ოდნავ ცოტათი თავი და მიხრწნილის ხმით ძლივს წარმოსთქვა:

— წყალი, ცოტა წყალი ღვთის გულისთვის.

იმას დაალევინეს წყალი და ისევ მოშორდნენ.

— შვილო! შენ ახდილი გაქვს ყო-ველი უფლება, შენ ცოცხლებს აღარ ეკუთვნი... მოინანიე შენი ცოდ-ვა, რომ ზეციერმა მამამ შეგინდოს.

— რა ცოდვა? დაფანტვით წარ-მოსთქვა ნუნუმ და მწარის ღიმილით დაუმატა:—ჰო, მე ხომ მამა მოვკალ, მე მამის-მკვლელი ვარ!..

— მითხარ ახსარება, რა გაწუხებს?.. მე მლოცველი ვიქნები შენი სუ-ლისთვის, მე შევავედრებ ზეციერს მამას, რომ მოგიტეოს, ყოველისფე-რი.

ამ სიტყვებზედ ნუნუ თითქოს მო-ეცხლდა.

— ჯვარი მომეც. მიუშვირა იმან ხელები.

მღვდელმა მიაწოდა ჯვარი და ნუ-ნუს რაღაც ცეცხლით თვალები აენ-თო; ის მისწვდა ჯვარს, მიიკრა ტუ-ჩებთან და საკმაოდ მაღლა, თუმცა ხმის კანკალით, წარმოსთქვა, მდუღა-რების ფრქვევით:

— ვფიცამ გულთა მხილავს ზეცი-ერს მამას, ვფიცამ ამ წმიდა ჯვარცმას, ვფიცამ ჩემს ნამუსს, ვფიცამ იაგოს სულს მე დამნაშავე არა ვარ!

ამ სიტყვების შემდეგ ის გაქრქოლ-ქრისტიანი ღირსია, შვილო.

— არა, სანამ აღსარებას არ გეტყვი, არა... ოჰ, თუ ღმერთმა შემაძლებინა ყველას თქმა... ვგრძნობ, რომ სიკვ-დილი მიახლოვდება.

— სასიკვდილოო, რა გჭირს შვილო?.. მაგრამ აჩქარდი, მოინანიე, ღმერთის გულ უხვობას ვინ მისწვდება, ის მო-გიტევებს, ის გაპატიებს...

ნირგოლა კარგად ხანს წვალობდა და ბოლოს ძლივს დაიწყო:—იაგოს მე მოუგონე ქურდობა, მე განგებ შევ-წამე ცილი, რადგანაც ნუნუ ჩემთვის მინდოდა... მხლაც მე გავაწყვეტინე იაგო და მისი ამხანაგები... ნუნუს მა-მაც მე მოვკალ და ქალს კი გადავაბრა-ლე... ილოცე, ილოცე მღვდელო ჩემის სულისთვის, ილოცე!..

— ჰო! შვილო!.. ვილოცავ, ვი-ლოცავ...

— როგორა გონია, ღმერთი მაპა-ტიებს?

— ღმერთი მოწყალეა, ღმერთი დი-დია!..

— გააგებინე ყველას, რომ მთხო-ვარა გლახას მომკვლელი მე ვარ, რომ ნუნუს ბრალი არა ჰქონდა მის სიკვდილში... მე დასამალად არ გე-უბნები აღსარებას... როდესაც იაგოს და იმის ამხანაგებს ცეცხლი წაუკი-დეთ... მე... გულმა ველარ მამისვე-ნა... წაველ გლახას სახლში... ქალ-საც და მამასაც ეძინათ... მე მინდოდა ორნივ მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე... ერთი წუთის წვალება განა გადამიხ-დიდა მთელი სიცოცხლის სატანჯ-ველს?.. მე მიყვარდა ნუნუ... ო-ო, როგორ მიყვარდა... იმან უარ მყო, იმან სხვა ირჩია ჩემს თავს... მე თავ მოყვარე, თავ მომწონე ვიყავ... ვე-ღარ გაუძელ სატანჯველს... მაშინ... მაშინ ვიფიქრე, რომ მამა... მამა მიამეკ-ლა... გამოვპარულიყავ და იმის სიკვ-დილი ქალისთვის დაებრალებინათ... იმას გააწვალებდნენ, გასტანჯამდნენ და მეგონა ეს დამაკმაყოფილებდა... მაგრამ... აი, რა დღეში ჩავარდი... სიცოცხლე არ მენანება, მაგრამ საი-ქიოს, საიქიოს რა პირით წარვსდგე?.. ამ სიტყვებით ის ჯერ მიილუშა, მემ-რე წამოიძახა—აგერ!.. აგერ ნირგო-ლა! არ მისვენებს, ის მომდევს; თვა-ლები მოუქცევია ჩემკენ!.. ნუ მიყუ-რებ. ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ! თან-და-თან სუსტდებოდა ნირგოლა და ბოლოს მწარე ქვითინათ გადაექცა...

იმან გაკმინდა ხმა, გადავარდა ლო-გინზედ და რაოდენიმე ხანი ისე თავ დავიწყებაში იყო; ბოლოს წამოიწია, გადაისო შუბლზედ მთრთოლარე ხე-ლი, გადიწმინდა პირის ნაკიდელი და წყნარად წარმოსთქვა:

— ღმერთო, რა რიგად ვიტანჯე-ბი!.. და მიუბრუნდა მოძღვარს:—მერ-გება ზიარება?..

ღვდელმა მიუტანაპირთან კოვზი.

— მიიღე შვილო, გერგება და კი-დეც დაგამშვიდებს.

— მამაო! ერთბაშად წამოიძახა იმან.—მაშ ღირსი ვარ?.. მომეც... მომეც. წაიწია ღვდლისაკენ, მაგრამ ერთბაშად გაიძაბა, წასწვდა გულს, ყელს, თავს და გადავარდა უკან.

— ნუნუ!.. გლახა... მიშვე... მი-შველე და სიტყვები ხრიალად გარდა-ექცა...

კიდევ ერთი გაბძოლება, გაზმორე-ბა, დახრიალება ყელში და ნირგო-ლა გათავდა...

ა. მოხზუბარიძე.

(დასასრული)

სემინარიაში ეგზამენია, და მხოლოდ უნდგილობის გამო არ მიუღიათ, რა ნება ჰქონდა სემინარიის მთავრობას მიეღო ვისგანმე თხოვნა სემინარიაში მიღების შესახებ, თუ აქ საქმე სხვანაირად არ იყო მოჩარხული? თუ უსასყიდლოთ სემინარიაში მუშების ზედამხედველობა, როგორც პასუხში ამბობთ, იმდენათ პატივ-საცემათ იცანით, რომ გეგონათ გამოისყიდიდა თქვენი უკანონო მოქმედება? რატო ამ საგანზე ბარემ ტორგიც არ დანიშნეთ? შეიძლებოდა ვინმე გამოჩენილიყო სრულიად უსასყიდლოთ მუშაობა შეესრულებია, რაკი მისი შვილის მიღებას დაპირდებოდით.

ე. ქ.

# განცხადებანი

**ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად ჟურნალისა 6-ს ოკტომბრის 1882 წლისა, გიმნაზიის პანსიონში გახსნილ ვაკანსიებზე მოიწოდებიან:

ლუკა ჩარკვიანი, კოლეჟსკი სეკრეტრის სიმონ ჩარკვიანის შვილი, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

გრიგოლ ბარათაშვილი, აზნაურის სახინო ბარათაშვილის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ ნიგოზეთიდამ (გიმნაზიის მექქსე კლასში სწავლობს)

გიორგი წერეთელი, აზნაურის მიხეილ წერეთლის შვილი, საჩხერო უეზდისა სოფელ ჯვარისიდამ. გიმნაზიისთვის არ შეუტყობინებიათ სად სწავლულობს (უნდა შემოვიდეს პირველ კლასში)

ილიანე ხოფერია აზნაურის გაბრიელ ხოფერიის შვილი, სენაკის უეზდის სოფელ შხეფიდან (გიმნაზიის მექქვსე კლასში სწავლობს)

ამასთანავე რჩევა საჭიროდ ჰხედავს გამოაცხადოს, რომ თანახმად სიისა უახლოვესეს კანდიდატებად რომელთაც წლოვანებით უფლება აქვთ მიღებულ იყვნენ და რომელნიც მახლობელ მომავალში დაბარებულნი იქნებიან:

ჩხეიძე ვარლაამი, აზნაურის გრიგოლ ჩხეიძის შვილი ქუთაისის უეზდის სოფელ ბზვანიდამ, (გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში სწავლობს)

ვლადიმირ გუნცაძე, აზნაურის ალექსანდრე გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდისა. სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ გუნცაძე, აზნაურის ბესარიონ გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მეორე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ იოსელიანი, აზნაურის კონსტანტინე იოსელიანის შვილი, ქუთაისის უეზდის სოფელ წყალტუბიდამ.

სამსონ ნანეიშვილი, აზნაურის თომა ნანეიშვილის შვილი სენაკის უეზდის სოფელ საჭილაოდან,

ივანე ამირეჯიბი, აზნურის ხოსთა ამირეჯიბის შვილი, რაჭის უეზდის სოფელ შარდომეთიდან. (3—3)

---

„**წერა-კითხვის საზოგადოება**" სთხოვს წევრთ, რომ ხვედრი საწევრო ფული გამოგზავნონ „საზოგადოების" ახალის ხაზინადარის გ. გიორგი დავით-ძის ქართველოვის სახელობაზედ, შემდეგის ადრესით: **въ Тифлисъ. Казначею общества Георгію Давидовичу Картвелову. Михаиловск. улица, собст. домъ.** (3—2)

---

20 ნოემბრისთვის, შაბათს, დანიშნულია

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი—ახლები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე.

უმორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: **Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе,** ანუ **І. Мревлишвили.**

ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (10—3)

---

„**გამასესხებელი კასსა გ. ი. ბარამოვისა და კამპ**".

**ქ. ქუთაისში.**

აცხადებს, რომ 5-ს და 12-ს ნოემბერს ამა წლისა დილის ათ საათიდგან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით ის გირაოები, რომელიც არ არის დახსნილი შემდეგ ორის ლგოტისათვისა, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—4).

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

შეადგრეთ ნვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40კ

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე იჰყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—7)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდის მერთხელ თაბაზიდა, შეიცავს ხუთს საგნობის მაგალითის: 1) ანბანის დედანს მხედრულის ხელისას; 2) მაგალითის მხედრულის ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს გაბმულის ხელისას; 4) დედანს (იგივე მაგალითი) გაბმულის ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს ასოების მაგალითებს ასოების წერით მასწავლებელთა გადასხმისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

---

ქართველ ქალების ამხანაგობის გამოცემა

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სოფხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფ ა ს ი  ე რ თ ი  ა ბ ა ზ ი.

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმისსამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—9)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი **ი.** გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. მასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. უდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათის შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Ноября 1882 г.* Типографія Меликова  გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი